

# ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2017 წლის 5 ივნისი

დაბა ჩხოროწყუ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრისთვის“ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 146<sup>1</sup>-ე, 148-ე, 150-ე, 150<sup>1</sup>-ე, 151-ე, 151<sup>2</sup>-ე, 152-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის, ადმინისტრაციული სახდელების დადებისა და ოქმების შედგენის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 239-ე მუხლის მე-14, 27-ე პუნქტებისა და 209<sup>3</sup>-ე მუხლების შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## მუხლი 1

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 146<sup>1</sup>, 148-ე, 150-ე, 150<sup>1</sup>, 151-ე, 151<sup>2</sup>, 152-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის, ადმინისტრაციული სახდელების დადებისა და ოქმების შედგენის უფლებამოსილება მიენიჭოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრს“.

## მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

